პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1 თებერვალი შაბათი 1969 ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 27 (14327)

ნერგავენ ტექნიკას

ტყიბული. (საკ. კორ.). ქვანახშირის შახტებში სულ უფრო ფართოდ იყენებენ ელექტრონულ აპარატურას, მიწისქვეშა ჰორიზონტებზე სწრაფად იკიდებს ფეხს ტექნიკის ახალი მიღწევები. ამ სიახლეთა დანერგვაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ტყიბულქვანახშირის ტრესტის ექსპერიმენტული ლაბორატორიის ახალგაზრდა კოლექტივს.

სამთო ინჟინერმა, რაციონალიზატორმა ს. ბობოხიძემ შექმნა მიწისქვეშა საკონვეიერო ხაზის მცირეგაბარიტიანი მარტივი და იაფი აპარატურა, რომლის საშუალებით წარმატებით ხორციელდება ქვანახშირის მომხვეტი ტრანსპორტიორების დისტანციური მართვა. ლაბორატორიაში მოდერნიზებულ იქნა შახტის ჰაერის გასანიავებელი აპარატურა. დამზადდა მაღალი ბრუნვის კოეფიციენტის მქონე მარტივი რელე და მრავალი სხვა ხელსაწყო.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის № 8 საამქროში იწყობა ახალი მოდელის მილდამმუშავებელი ჩარხები. საამქროს კოლექტივი ყოველთვის დროულად ასრულებს მომხმარებელთა შეკვეთებს. მიმდინარე წელს აქედან უკვე გაიგზავნა 6 მილდამმუშავებელი ჩარხი. ამ პროდუქციის დროულად გამოშვებაში თავი ისახელეს ამწყობმა ზეინალებმა (მარცხნიდან), ჯ. ფუტკარაძემ, ა. სახოკიამ და ს. გოგიშვილმა, რომლებსაც ამ სურათზე ხედავთ.

ფოტო ბ. გოგოხიასი.

ხუთწლედის ახალი ზღუდეებისაკენ!

ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს სახალხო მეურნეობა გიგანტური ნაბიჯებით მიდის ხუთწლედის დიდ გზაზე. ეს გზა, ცხადია, მოფენილი არ არის ფიანდაზებით, მაგრამ ჩვენი გმირი ხალხი ყოველგვარ სიძნელეს ძლევს და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს ხუთწლედის ვადამდე და გაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ საბჭოთა ქვეყანამ 1968 წელს — ხუთწლედის მესამე წელს. ამის შესახებ მოთხრობილია ციფრების ენით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების გასული წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. ცნობაში მკაფიოდ ჩანს, თუ რა ახალი წარმატებანი მოიპოვა ჩვენმა ქვეყანამ ეკონომიკის განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებაში, რაც ხორციელდებოდა პარტიის XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებით.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილი საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების ავანგარდში არიან სამრეწველო საწარმოთა მშრომელები. მათ გადაჭარბებით შეასრულეს სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა. სამრეწველო პროდუქციის მატებამ შეადგინა 8,1 პროცენტი.

ჩვენმა სახელოვანმა მშენებლებმა აამოქმედეს 55 მილიარდ მანეთზე მეტი ძირითადი ფონდები, მწყობრში ჩადგა სამასამდე დიდი საწარმო.

თავდადებით იმუშავეს ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. არახელსაყრელი ამინდების მიუხედავად მათ დიდი წარმატებები მოიპოვეს. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციამ 81 მილიარდი მანეთი შეადგინა.

ჩვენს ქვეყანაში წარმოების განვითარების უმაღლესი მიზანია მშრომელთა მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრულად დაკმაყოფილება. გასულ წელს ამისათვის განსაკუთრებით ბევრი რამ გაკეთდა. მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო წლიური ფულადი ხელფასი გაიზარდა 7,5 პროცენტით, მნიშვნელოვნად ამაღლდა აგრეთვე კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ისეთი პერიოდი, როცა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის განკუთვნილი მატერიალური დოვლათის მატება ისე დიდი ყოფილიყო, როგორც ამ ბოლო დროს. საბჭოთა ადამიანებმა გასულ წელს მიიღეს 2,3 მილიონამდე კეთილმოწყობილი ბინა და სახლი. 11 მილიონი კაცი შესახლდა ახალ სახლში ან გაიუმჯობესა საბინაო პირობები. მოპოვებულია ახალი წარმატებანი მეცნიერებისა და კულტურის, სახალხო განათლების, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარებაში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლედის მესამე წლის შედეგები საამაყოა. საერთო მიღწევებში თავისი წვლილი მიუძღვის საქართველოს რესპუბლიკასაც. ამაზე ნათლად მეტყველებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა გასული წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესრულების შესახებ.

თავი ისახელეს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა. საქართველოს მრეწველობამ გასული წლის სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა 101 პროცენტით შეასრულა. 1967 წელთან შედარებით რეალიზებული პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 7 პროცენტით, სამრეწველო პროდუქციის მოცულობა — 8 პროცენტით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1968 წლის დამლევისათვის დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემით მუშაობდა 546 საწარმო, რომლებმაც აწარმოეს მთელი სამრეწველო პროდუქციის 68 პროცენტი. პროდუქციის რეალიზაციის გეგმა ამ საწარმოებმა 102 პროცენტით შეასრულეს. წარმოების მოცულობა 1967 წელთან შედარებით გაადიდეს 7 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 4 პროცენტით, მოგება — 9 პროცენტით.

თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ჩვენმა სახელოვანმა სოფლის მეურნეობის მუშაკებმა. მიუხედავად ჭირვეული ამინდებისა, გადაჭარბებით შეასრულეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მეჩაიეებმა და მევენახეებმა.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობები. საშუალო თვიური ხელფასი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 6 პროცენტით და მეტად. გადიდდა კოლმეურნეობათა ამონაგები თანხები სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციისაგან, რის შედეგადაც გადიდდა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება. ფართოდ ხორციელდება საბინაო, სავაჭრო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა.

ცხადია, შედეგები კიდევ უკეთესი იქნებოდა, მოწინავე საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გვერდით რომ არ იყონ ჩამორჩენილი კოლექტივები, რომლებიც გეგმებს ვერ ასრულებენ, უშვებენ დიდ გადახარჯვებს, დაბალია პროდუქციის ხარისხი.

გასული წლის შედეგები ხელთ გვაქვს. ახლა მთავარია ჯეროვნად შევაფასოთ წარმატებანი და არ მიეჩქმალოთ ნაკლოვანებანი. რა თქმა უნდა, წარმატება თავისით როდი მოვა. ამათვითვე საჭიროა დავძლიოთ ნაკლოვანებანი სამეურნეო საქმიანობაში, ნაკლოვანებები კი, როგორც სტატისტიკური სამმართველოს ცნობა ცხადყოფს, ჯერ ბევრი გვაქვს. არის საწარმოები, რომლებიც ვერ ასრულებენ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის, შრომისნაყოფიერების ზრდის, ნაკეთობათა თვითღირებულების შემცირების და დგროვების გეგმებს. მშენებლებს მოლიანად არ შეუსრულებიათ ახალი სამძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედების დავალება. რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში კვლავ დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და პირუტყვის პროდუქტიულობა, დიდია პროდუქციის თვითღირებულება. ყოველივე ეს მოწმობს, რომ გულდასმით უნდა გავუკეთოთ ანალიზი გასული წლის შედეგებს და გამოვიყენოთ პრაქტიკული დასკვნა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ჩვენს რესპუბლიკაში სულ უფრო ფართოვდება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. ახლა მთავარია პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ ამ შეჯიბრებას, აქტიურად დაუჭირონ მხარი მასების შემოქმედებით ინიციატივას, შრომელთა მეცადინეობა წარმართონ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და ხუთწლედის მეოთხე წლის დავალების და ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ლენინურ შრომითს ვასტეზე

რაციონალიზატორთა წვლილი

რუსთავი. (საკ. კორ.). ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან შემკეთებელ-მექანიკური ქარხნის რაციონალიზატორები. უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე მათ შეიმუშავეს და წარმოებაში დანერგეს 72 სიახლე. მეტად ეფექტური გამოდგა რაციონალიზატორებს რ. გრიცენგერის, ვ. ჩკანოვის, ბ. იაკუბასის და გ. ამრილიანის წინადადება. მათ მიერ შექმნილმა რკინის ფურცლების მოსახრელმა დაზგამ ერთიორად შეამცირა სამუშაო დრო და მნიშვნელოვნად გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

არც ხარატ ტოლიკოვის რაციონალიზატორული წინადადებები გამოდგა უნაყოფო. მისი დანერგვით გამარტივდა მანქანის ცილინდრების დამუშავება.

ქარხნის რაციონალიზატორებს გადაწყვეტილი აქვთ წელს წარმოებაში დანერგონ 75 ტექნიკური სიახლე და ამის ხარჯზე 10 ათასი მანეთი მოგება მისცენ ქვეყანას.

მშენებლები დაწინაურდნენ

ზუგდიდი. ენგურჰესის მშენებლობის დაწყების დღიდან მოქმედებს სამოქალაქო მშენებლობის სამმართველო (უფროსი დ. ხუფენია). ამ კოლექტივის ნახელავია ენგურჰესის 14 დასახლებაში აგებული საცხოვრებელი ბინები და ადმინისტრაციული შენობები. მიუხედავად ცუდი კლიმატური პირობებისა მშენებლებმა იანვარში დიდ წარმატებას მიაღწიეს, ვადამდე გაანადღეს ხუთწლედის მეოთხე წლის პირველი თვის დავალება. შესრულებულია 475 ათას მანეთისაზე მეტი სამშენებლო სამუშაო.

გეგმის შესრულებაში პირველნი დაწინაურდნენ ის სამშენებლო უბნები, რომლებსაც ახალგაზრდა ინჟინერები ა. ჭიჭინაძე, ჯ. ჭანჭალეიშვილი და ს. ქობალია უძღვებიან. კარგად შრომობს მებეტონეთა ბრიგადა, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჰ. ბოკუჩავა ხელმძღვანელობს.

ენგურჰესელები ემადლიერებიან და მარჯვენას უწვდიან დურგლებს პ. გვანჯაიას, ნ. ოყუჯავას, ჯ. ჩხაპელიას, მეარმატურეებს უ. ემუხვარს, ა. ჩაკალოვს და სხვებს.

სამოქალაქო მშენებლობის სამმართველოს კოლექტივის გადაწყვეტილებაა მიმდინარე წელს ვადაზე ერთი თვით ადრე შეასრულოს 4,5 მილიონი მანეთის სამუშაო ნაცვლად 3 მილიონ 800 ათასი მანეთისა.

ლ. ბარქაია.

ხუთწლედი — ვადამდე!

შენდება გემთსადგომი

ბოსფორი 22 ქვეყანასთან აქვს კავშირი ფოთის ნავსადგურს. მისი წარმოების მასშტაბები წლიდან წლამდე იზრდება. მსხვილტონაჟიანი სახალხო-სამეურნეო ტვირთების საეკეთესო გადამუშავებისათვის შენდება და მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი გემთსადგომი. აქ დაამონტაჟეს 16-ტონიანი ამწე, რომლის კონსტრუქცია სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს დაკვეთით დამუშავეს უნგრელმა სპეციალისტებმა.

შრომითი აღმავლობით დაიწყეს ნავსადგურის მუშაკებმა მიმდინარე სამეურნეო წელი. გრიგალის შედეგმა აეროდრომი ნავსადგურის მისადგომებზე კვლავ მაღალნაყოფიერი შრომითი პაოლია. მეამწეები და მტვირთველები სწრაფი ტემპით აწარმოებენ ტვირთების დამუშავებას.

კ. კომახიძე.

მზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის

კლუბებში ჩირაღდნები აინთო

ჭუთაისი. (საკ. კორ.). ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე, მე-20 საშუალო სკოლის ფასადზე გაკეთებული წარწერა ყველას აუწყებს, რომ აქ ამომრჩეველთა კლუბია.

კლუბს ამავე სკოლის ისტორიის მასწავლებელი კომუნისტი ზ. ბასტაძე ხელმძღვანელობს. ამომრჩეველთა კლუბმა, რომელიც 42 პოლიტორგანიზატორს აერთიანებს, თავის გარშემო შემოიკრიბა ამომრჩეველთა ფართო აქტივი და პრაქტიკულად დაიწყო მუშაობა, შედგა მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ ღონისძიებათა

მაღალი პოლიტიკური აქტივობით

ადიგენი. (საკ. კორ.). რაიონში მაღალი პოლიტიკური აქტივობით დაიწყო მზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. რაიონის დაბებსა და სოფლებში — ადიგენში, აბასთუმანში, უდეში, ბოლაჯურში, ლელოვანში, მოხესა და ვარხანში მოეწყო იდეოლოგიური დარგის მუშაკთა ზონალური თათბირ-სემინარები.

ზონალურ თათბირ-სემინარებზე ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებისა და რაიონის იდეოლოგიური დარგის მუშაკთა ამოცანების შესახებ მოხსენებებით გამოვიდნენ პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ა. მექვაბიშვილი, მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ქ. ქასრაშვილი, პარტიის რაიკომის მეორე მდივანი კ. რეხვიაშვილი, რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი ვ. ძაძამია, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ი. აფრიამაშვილი და პარტიის რაიკომის განყოფილებათა გამგეები ა. გიგოლაშვილი, პ. მერაბიშვილი.

ბროშურად გამოვიდა

„დებულება მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ“

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე გამოსცა „დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატთა არჩევნების შესახებ“. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 18 იანვრის ბრძანებულებით დამტკიცებულ ტექსტში შეტანილია ცვლილებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 29 ოქტომბრის ბრძანებულების შესაბამისად.

(საქდესი).

ახალი აღმავლობით

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ფეროშენადნობთა ქარხნის ელექტროლიზურ ფასაღებ ფანჯრებზე ბოლო ერთი თვის მანძილზე ბრიგადა ალ. ბაბალიანის ბრიგადა ალ. ბაბალიანის ბრიგადა ალ. ბაბალიანის

„კომუნისტი“ ქალაქის ვიწროებიდან!

საბჭოთა ვიწროლოგის გვერდი N 46

□ წუნი პირველი ხარისხის იარლიყით

□ ხელს რა უშლით ელმავალმშენებლებს

□ ქარხანაში ... საქმეს არ შველის

წუნი — წარმოების ლაქა

შარშან დეკემბრის ბოლოს თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ელექტროსამანქანო საამქროში წევის ძრავის კორპუსების დამამუშავებელ უბანზე ასეთ საუბარს წავწყდით.

— უკვე მეათე დღეა ჩარხი ლრ 120 უმოქმედოდ დგას, — გულდაწყვეტილი ამბობდა შიგამჩარხავი გიორგი ტალახაძე.

— არ იქნა და ელექტროლიტელებმა ვერ გაიგეს, — კვერი დაუკრა თენგიზ გელაშვილმა, — რომ წევის ძრავის ჩონჩხი და ბუქსები ერთად უნდა მოგვაწოდონ. ბავშვმაც კი იცის, რომ მათი ცალ-ცალკე დამუშავება წარმოუდგენელია. ერთს თავზესაყრელად გამოგიგზავნიან, მეორე კი ავიწყდებათ.

საუბარში ჩაერია სამშენებლო-ლიან საღარავ ჩარხზე მომუშავე მიხეილ ცოტნაშვილი, რომელმაც თავის მხრივ გულისწყრომა გამოთქვა ცენტროლიტის ქარხნის მუშაობაზე. მუშები საყვედურს ამბობდნენ აგრეთვე იმის გამო, რომ წევის ძრავის ჩონჩხი თავისი ზედა და ქვედა ლუკით არ შეესაბამება ნახაზებით გათვალისწინებულ ზომებს, რომ სხვადასხვა ზომიანი მიწიანი ნიჟარები, ბზარები, რაც აძნელებს მის დამუშავებას და საფრთხეს უქმნის პროდუქციის საიმედოობას. ყოველივე ეს იწვევს ორასასურველ შედეგებს. გამოანგარიშების შედეგად დადგენილია, რომ ელექტროსამანქანო საამქრომ მარტო შარშან ცენტროლიტიდან მოწოდებული ღუბლების დამუშავებაზე დახარჯა ორჯერ მეტი მუშები იარაღები, ვიდრე ეს ტექნოლოგიით იყო გათვალისწინებული. აღნიშნული დეტალების დამუშავება ერთნაზეკარჯერ მეტ დროს მოიოხოვს, ვიდრე ეს გეგმით არის გათვალისწინებული. იზრდება დაზგადანადგარების მწყობრიდან გამოსვლა და საბოლოო ჯამში გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება. ყოველივე ამაზე სამართლიანად გამოთქვამენ საყვედურს ელმავალმშენებლები.

აი რას ამბობს ტექნიკური კონტროლის ოსტატი პეტრე მეტრეველი. წევის ძრავის ჩონჩხი რომ წუნდებულია, ეს კიდევ არაფერი. კონსული, ღერძის მილსაყი, დამხმარე მანქანის ჩონჩხები და სხვა დეტალები სავსეა მიწიანი ნიჟარებითა და მინაღუღით. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ ძლიერ ჭიის მათი დამუშავება. მათ აგრეთვე დაკარგული აქვთ ესთეტიკური სილამაზე. სხმულის გაწმენდა კი მინაღუღებისგან საქმაოდ შრომატევადი და მძიმე სამუშაოა. ამ წუნის აღმოფხვრა ადგილზე ცენტროლიტში საქარხნო წესით შესაძლებელი და ადვილია, მაგრამ ჩვენი თხოვნა ცენტროლიტის ქარხნის ხელმძღვანელობამ წლების მანძილზე ყურად არ იღო.

აქვე გვინდა შეეჩერდეთ მეორე მნიშვნელოვან საკითხზე: ჩვენს ქარხანაში მუშაობა მთლიანად აწყობილია ელმავლების ცალკეული კვანძების დაკომპლექტების საფუძველზე. თვითეული ელმავლის ირგვლივ იქმნება თავისი კომპლექტი. ამ შემთხვევაშიც არ გვწევს ცენტროლიტის ხელმძღვანელობა ანგარიშს. სადღეისოდ ელმავალსამშენებლო ქარხანაში ცალკეული სახის დეტალები სამი-და მეტი თვის მარაგია შემოზიდული. მაგრამ ზოგიერთი დეტალი ელმავლის მშენებლობაზე არ გვყოფნის. მაგალითად, წევის ძრავის ჩონჩხებისათვის აუცილებელ ვერ მოგვინახავს ქარხანაში, მაგრამ ბუქსები და წევის ძრავის ჩონჩხის მარცხენა ფარი დიდი დაგვიანებით მივიღეთ, რამაც გამოიწვია ჩავარდნა. — შეფერხდა ელმავლის გამოშვება. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მთელი რიგი დეტალები კომპლექტურ დამუშავებას მოითხოვენ, მაგრამ მათი უქონლობის გამო კვირეების მანძილზე ვცდებით.

მივმართოთ მცირე სტატისტიკას. გასული წლის მანძილზე ცენტროლიტის მიერ მოწოდებული პროდუქციიდან საბოლოოდ დაწუნებულ იქნა 406 დეტალი, ხოლო შესწორებული იქნა 1221 წუნი. საბოლოო ჯამში ცენტროლიტის მიერ გამოშვებული წუნდებული დეტალების გამო ელმავალმშენებლებმა წუნის მკეთებლს ჯარიმის სახით გადაახდევინეს 29.672 მანეთი. წუნდებულ პროდუქციაზე 27 აქტია შედგენილი, აქედან 12 აქტი წუნის გასწორებაზე, 15—საბოლოო წუნზე. ჯარიმები, აქტები, სიყვედურები საქმეს როდი შველის. საჭიროა მეტი პასუხისმგებლობით, მონდომებით მუშაობა.

ელმავალსამშენებლო ქარხნის ნორმალურ, რიტმულ მუშაობას ხელს უშლის აგრეთვე პლასტმასის ქარხანა, რომელმაც გასული წლის მანძილზე 4915 მანეთის წუნდებული პროდუქცია მიაწოდა.

საავარატო საამქროს უფროსი აკაკი მამადაშვილი განსაკუთრებულ გულისწყრომას გამოთქვამს პლასტმასის ქარხნიდან მოწოდებული დეტალების უვარგისობაზე და აღნიშნავს, რომ ისინი არასიმედონი არიან დამუშავებისას. ამ ბოლო დროს პლასტმასის ქარხნიდან რვაჯერ მოგვაწოდეს წუნდებული პროდუქცია, რისთვისაც ქარხანა დაჯარიმდა 3240 მანეთით, ხოლო რაც შეეხება მთლიანად შარშანდელ მდგომარეობას, იგი მეტად არასახარბიელოა.

1968 წელს შედგენილ იქნა 20 აქტი. 18 აქტი საბოლოო წუნზე, ხოლო 2 — წუნის გასწორებაზე. აღნიშნული აქტების საფუძველზე საბოლოოდ დაწუნებულ იქნა 35.441 დეტალი, ხოლო გასასწორებლად გადაეცა 695 დეტალი. ეს ციფრები ერთხელ კიდევ მეტყველებენ იმაზე, რომ პლასტმასის ქარხანაში პროდუქციის ხარისხისათვის ნაკლებად ზრუნავენ, ამით ელმავალმშენებლებს დიდი სიძნელეებს წინაშე აყენებენ, რაც ქარხანაში შექმნილ ისედაც მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებს. ეი ეს წვრილმანი დეტალები თუ შეიძლება ამას წვრილმანი ეწოდოს, ქარხანას ძარიმული მუშაობისაკენ უბიძგებს, იწვევს იერიშობასს.

საერთოდ საიზოლაციო მასალები ძალზე ფაქიზია და მის დამზადებას მეტი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს მწარმოებელი. გასული წლის დასაწყისში მძიმე მდგომარეობაში ჩაიგდო ელმავალსამშენებლო ქარხანა თბილიზოლიტმა. მოწოდებული კოლექტორის მიკანიტი ძალზე უხარისხო იყო და იშლებოდა, წევის ძრავები ერთიმეორეზე მწყობრიდან გამოდიოდა. საიზოლაციო მასალის ვარგისიანობის შემოწმება სასტენდო გამოცდისას ყოველთვის როდი იძლევა სასურველ შედეგებს. კოკებისა და გრაგნილების საამქროში ხშირად ნახავთ, რომ დაეობენ ტექნიკური კონტროლის ოსტატი და მუშა. ტექნიკური კონტროლის ოსტატი მუშას უსაყვედურებს არაკეთილსინდისიერ მუშაობას. შემოწმებამ აჩვენა, რომ ამ შემთხვევაშიც დამნაშავე იყო არა მუშა, არამედ საიზოლაციო მასალა.

გასული წლის პირველი ნახევრის გამოცდილებამ დაარწმუნა ელმავალსამშენებლო ქარხნის ხელმძღვანელობა, რომ თბილიზოლიტის მიერ მოწოდებული კოლექტორის მიკანიტის ნდობა არ შეიძლებოდა, რადგან იგი ძალიან უხარისხო იყო. გადაწყვეტილ იქნა აღნიშნული პროდუქცია შემოეტანათ მოსკოვის ოლქის ქალაქ ხოტკოვოდან. სულრათი ყველასათვის ნათელი გახდა. ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა მეზობლად არსებული საწარმოს პროდუქციაზე უარი თქვა და იძულებული გახდა საიზოლაციო მასალა ხოტკოვოდან შემოეტანათ.

აქაც მივმართოთ მცირე სტატისტიკას: გასული წლის პირველ კვარტალში საბოლოო წუნზე შედგენილ იქნა 6 აქტი, რომლის შედეგად ჩამოწერილი იქნა 5.115 კილოგრამი მიკანიტი და მიკალენტი. ეს მეტად ძვირად ღირებული საიზოლაციო მასალებია, რომელთა ღირებულებამაც 27.464 მანეთი შეადგინა.

როგორც ვხედავთ, წუნდებული დეტალების მოწოდება დიდად აფერხებს ელმავლის გამოშვებას, მთლიანად შლის საწარმოს რიტმს. მაგრამ როგორც წაყენებული ჯარიმებიდან ჩანს, თვით მომწოდებელ საწარმოებსაც მძიმე ტვირთად აწევება წუნი.

წუნი წარმოების ლაქაა და მისი აღმოფხვრისათვის ყველამ თავგამოდებით უნდა ვიბრძოლოთ.

ო. კურატაშვილი.
ჟ. გოგიჩაიშვილი.

თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები.

სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა...

ეგოგლასელებათ რედაქცია ისეთი დაწესებულება არ არის, სადაც სტუმარი და მიმსვლელ-მომსვლელი იშვიათი იყოს. მიუხედავად ამისა, მოხუცი ხატიჯე ფარტენაძის გამოჩენამ დიდად გაგვაკვირვა და კიდევაც შეგვაშფოთა.

ეს გახლდათ 90 წელს მიღწეული ქალი, ხუთი შვილის დედა და სამჯერ მეტი შვილიშვილის დედიდა, ბევრის მნახველი და გადამტანი.

ჩვეულებრივ მის ასაკში ადამიანებს, მით უმეტეს თუ ისინი შვილებითა და შვილიშვილებით არიან გარშემოხვეული, ყველა საქმე და საზრუნავი — ოჯახური და საზოგადოებრივიც უკვე სხვებისთვის აქვთ გადაბარებულ-გადალოცილი. ახლა თვითონ მათ სჭირდებათ მზრუნველობა.

ის კი ბათუმის რაიონის სოფელ ხელვაჩაურიდან ჩამოვიდა თბილისში, სადაც წინათ ერთხელაც კი იყო ნამყოფი, და საჩივრით მოგვადგა რედაქციაში: მომეხმარეთო, მიშველეთო, სიბერე გამიმწარესო!

ახლა აქ დაწვრილებით არ მოგიყვებით მთელ ამ გრძელ ამბავს, რამაც მოხუცი ამ დღეში ჩააგდო. მხოლოდ მოკლედ გეტყვით, რომ საქმე ეხება მიწის მცირე ნაკვეთს და რამდენიმე ძირ მანდარინის ხეს, რის გამო აგერ რამდენიმე წელიწადია ძმები იბრძვიან, მემედ და სულიკო ფარტენაძეები დავობენ და ამ დავაში დედაც ჩაითრიეს და დატანჯეს. არა, ჩეზთან დარჩი საცხოვრებლად და არა, ჩემთანო —ეჩაჩებიან შვილები დედას. მაგრამ მოხუცს დარდი კი არა აქვთ, მანდარინის ბაღი უნდათ შემოიმტკიცონ და დაისაკუთრონ ამ გზით, და არის ერთი გაუთავებელი ჩხუბი და გაწამაწია.

ვინ არ ჩაერია ძმების საქმეში. შეიქმნა ათასნაირი კომისია, ამ საკითხის განხილვას მიეძღვნა სასოფლო საბჭოს აღმასკომის სხდომა, კოლმეურნეთა საერთო კრება, მიიღეს გადაწყვეტილებები და დადგენილებები. ტომებად შეიკრა საქმეები, გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ წერილიც გამოქვეყნდა ამაზე. მაგრამ არა და არა, დავას ბოლო არ მოეღო. ყველა ეს უმუშევნია და თავიდან მოეშორებინა მომჩივანი. მაგრამ აღმასკომში დაავიწყდათ, რომ ამჯერად მოხუცი ბ. ფარტენაძის გვერდით იყო რედაქცია. ხოლო კარგად მოგეხსენებათ, რედაქცია ასე ადვილად მოსატყუებელი და გასაჩუმებელი არ არის. და აი აჩლა რაიაღმასკომის მიერ 1968 წლის 12 ივლისს რედაქციისადმი გამოგზავნილი პასუხის გამო მოვიოხოთ პასუხს: თუ მოხუცი ხატიჯე ფარტენაძის მოთხოვნა სამართლიანად მიგაჩნიათ და იმ დასკვნამდეც მიხვედით, რომ იგი უმცროსი შვილის სულიკო ფარტენაძისაგან ცალკე კომლად უნდა გამოიყოს, რა გიშლით ხელს ეს დასკვნა გადაწყვეტილებად და საქმედ აქციოთ?

სოფელში ავი ხმები დადის, ამაში ხელს თვით უმცროსი ძმა — სულიკო ფარტენაძე უშლისო. ამბობენ მან აღმასკომში ვიღაცეებიცა დაინტერესა, რომ საქართველო მის სასარგებლოდ გამოიტეხონ და საკითხის საბოლოოდ გადაჭრაც ამიტომ ჭიანურდებაო.

ავი ენა რას არ იტყვის, კაცმა პირს ყური როგორ უნდა დაუგდოს. მაგრამ ისიც მართალია, რომ ჭორიკანას ყმეღობის საბაბი არ უნდა მისცე. აღმასკომში კი ისე იქცევიან, მართალია ეჩვი დაგებადებ: ყველაფერს უმცროსი ძმის — სულიკო ფარტენაძის სასარგებლოდ და სასიამოვნოდ აკეთებენ. დედას კი ამკარად ჩაგრავენ. ამით გათამამებული ს. ფარტენაძე ეგულებოდა ძმებსა და დებს და, როცა მოიწადინებს, ცემს კიდეც მათ. ბოლო დროს ისე გათამამებიდა, რედაქციის მუშაკსაც კი მიუვარდა მუქარით. სპეკულაცია ხომ ხელობად აქვს გადაქცეული: შემოვა თუ არა მანდარინი, ტუსეთისაკენ გაუდგება გზას და მამასისხლად ჰყიდის. სახელმწიფოს კი ზოსაელის მხოლოდ მცირე ნაწილს აბარებს. ასე მოიქცა წელსაც.

როდის მოეღება ბოლო ამ გაუთავებელ დავასა და გაწამაწიას? რედაქცია ამაზე პასუხს უწერნარეს ყოველსა ბათუმის რაიასაბჭოს აღმასკომისაგან მოელის.

მ. მიქაძე.
მ. გორგილაძე.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანა დიდი რაოდენობით იღებს ნაჟიღებს თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნიდან. მიწოდებული დეტალები ზოგ შემთხვევაში უხარისხოა და მათი დამუშავება დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს. ამიტომ წარმოების ოსტატებს, სახალხო კონტროლიორთა ჯგუფის წევრებს პროდუქციის ბუღლასმით შემოწმება უხდებათ.

სურათზე: ქარხნის ელექტროსამანქანო საამქროს სახალხო კონტროლის ხელმძღვანელები ფაბრიკის წევრები (მარცხნიდან): ტ. დვინიძე, ა. ლომიძე, ვ. ბოგიჩიშვილი და მორიგ საამქროს უფროსის მოადგილე უ. ალანია ამოწმებენ დეტალების ეკარგისობას.

ფოტო ბ. გოგოხიასი.

„ რისხვა სახალხო ქონების ხელმყოფთ“

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო

ბაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული იყო რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორის ო. კოლუაშვილის წერილი — „რისხვა სახალხო ქონების ხელმყოფთ“, რომელშიც მხილებული იყო რესპუბლიკის ზოგ საწარმო-დაწესებულებაში სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით დატაცების ფაქტები და აღნიშნული იყო, რომ ხშირად ეს გამოწვეულია ორგანიზაციათა ხელმძღვანელების გულგრილობითა და უპასუხისმგებლობით.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ რედაქციას აცნობა, რომ ბაზეთში გამოქვეყნებულ წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. სამინისტროსაგან მიღებულ პასუხში ნათქვამია:

წერილში მართებულად არის აღნიშნული, რომ „აჭარკურორტვაჭრობის“ სისტემაში მოკალათებული ბოროტმოქმედნი, უფროსი ბუღალტრის უ. ვადაკორიას მეთაურობით, საგრგნობლად ნა ამ სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელობის დანაშაულებრივი გულგრილობით, შიდასაუწყებო კონტროლისა და აღრიცხვა-ანგარიშგების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის, სისტემატურად ფლანგავდნენ სახელმწიფო ქონებას და 2,5 წლის განმავლობაში შეძლეს 90 ათასი მანეთის მითვისება.

ეს დაუყოვნებლივ მოხსენდა რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრს, და მისი განკარგულების შესაბამისად აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროსთან ერთად ჩავატარეთ აჭარკურორტვაჭრობის სრული დოკუმენტალური რევიზია, რის შედეგადაც გამოვლინდა ზემოაღნიშნული გაფლანგვები.

კონკრეტული დანაშაულ პირები რევიზიის პროცესშივე დაპატიმრებულ იქნენ, ხოლო აჭარკურორტვაჭრობის ხელმძღვანელობა ანგარიშწარმოების დარგისა და სარევიზიო აპარატის პასუხისმგებლობის საკითხი ადგილზე განიხილა საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტმა და შემდეგ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიებმა, რომელთა დადგენილებით დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი. აჭარკურორტვაჭრობის დირექტორი ხოშტარია, მთავარი ბუღალტერი თოფურიძე, საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების უფროსი თავდგირიძე, ანგარიშწარმოების დარგის სხვა მუშაკები და რევიზორები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს ამ დანაშაულობათა დროულად გამოვლინება და აღკვეთა, განთავისუფლებულ იქნენ სამუშაოდან, ხოლო ზოგიერთი მათგანი საგამოძიებლო ორგანოებმა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

სინამდვილეს შეეფერება აგრეთვე აფხაზურორტვაჭრობის, თბილტანსაცმელვაჭრობისა და ქუთაისვაჭრობის სავაჭრო ქსელში გამოვლინებულ ბოროტმოქმედებათა ფაქტები. საკითხი იმ პირთა შესახებ, რომელთა დაუდგენრობის შედეგად ეს დანაშაულებანი თავის დროზე არ იყო მხილებული, განხილულია ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოებისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ. დამნაშავე პირების შიმართ მიღებულია საჭირო ზომები.

„ნაქები პროდუქცია და რეკლამაცია

ფართო მოხმარების 24 ასორტიმენტის საქონელს უშვებს ახლა ქუთაისის მრეწველობის ნარჩენების გადამმუშავებელი ფაბრიკა. აქ დამზადებული ზედა თეთრეული ტრიკოტაჟი, ქალის კაბები, ფეხსაცმელი, მამაკაცისა და ბავშვის ზედა პერანგები, ლაბადები და საფეიქრო გალანტერიის ნაწარმი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც იგზავნება.

თუ საერთო მაჩვენებლებზე ვილაპარაკებთ, ფაბრიკამ ცუდად როდი დამთავრა გასული სამეურნეო წელი. პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის დავალება გადაჭარბებით შეასრულა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საერთო მაჩვენებლების ფონზე შავ ლაქად ჩანს წარმოების წუნი, უგემოვნოდ, დაბალხარისხოვნად დამზადებული პროდუქცია.

როგორც წესი, ფაბრიკაში ყოველთვიურად აჯამებენ და ადგენენ ცალკე ასორტიმენტის მიხედვით გამოშვებული პროდუქციის ხარისხობრივ მაჩვენებლებს. თუ ამ ცნობებს დავაჯერებთ, აქ ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებენ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების დავალებას.

მაგრამ რას იტყვიან ფაბრიკის ხელმძღვანელები ამაზე, რომ ეს ნაქები პროდუქცია, რასაც საქონლის ხარისხის და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციები ან კიდევ უშუალოდ სავაჭრო ორგანიზაციები ამოწმებენ, ხშირად დაბალი ხარისხისაა, ხოლო ზოგჯერ უვარგისიც კი გამოდის?!..

გასულ წელს „საქტანსაცმელვაჭრობის“ ქუთაისის ბაზამ შემოწმებული 550 ქალის კაბიდან 22 მეორე ხარისხში გადაიყვანა, ხოლო 120 ცალი დიდი დეფექტების გამო გადაეგზავნა. „საქფეხსაცმელვაჭრობის“ ბაზამ 216 ცალ ფეხსაცმელ-ფეხსაცმელ-ფეხსაცმელ-

მსოფლიო დღეს

ქრონიკა ● პროგლემები

საერთაშორისო ცხოვრება

ეროვნული

ჩეხოსლოვაკიის ფედერალურ კრებაში

ჟი იანვარს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების სახალხო პალატისა და ეროვნებათა პალატის სალამოს გაერთიანებულ სხდომას დაესწრო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ლ. სვობოდა.

სხდომაზე წაიკითხეს პრეზიდენტის დადგენილება, რომ პ. ცოლტკა გაათავისუფლეს ჩეხოსლოვაკიის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების თავმჯდომარის პოსტზე მისი არჩევის გამო. ჩეხოსლოვაკიის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნულია კ. ლაცო.

შემდეგ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის ხაპროგრამო განცხადება გაკეთა მთავრობის თავმჯდომარემ ო. ჩერნიკმა.

ბერძენ დემოკრატთა დასაცავად

დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის განცხადება

პარიზი, 30 იანვარი. (საკდესი). **დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციამ იურისტებსა და მსოფლიო საზოგადოებრობას მოუწოდა დაგმონ წამების პრაქტიკა საბერძნეთში, აგრეთვე მზარდი. საფრთხე, რომელიც ბერძენ დემოკრატთა სიცოცხლეს მოელის.** აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ასოციაციამ პარიზელი ადვოკატი ჟან-ლუი ვეილი სასამართლო მეთვალყურედ გაგზავნა ათენში ბრალდებულის პროცესზე, რომელიც მომდინარეობდა ათენის სამხედრო ტრიბუნალში მომდინარე წლის 22 და 23 ივნისს. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ვეილმა მოისმინა ბრალდებულთა ვაჟაკაცური ჩვენებები, რომლებმაც პროცესის დროს ილაპარაკეს, თუ როგორც აწამებდნენ მათ, და დარწმუნდა, რომ მათ ტრავმა მიიღეს. „ასოციაციის მეთვალყურე, — ნათქვამია განცხადებაში, — განსაკუთრებით გაოცა იმან, რომ ბრალდებამ მოითხოვა საკვლევლად დასჯა, მიუხედავად იმისა, რომ მან წარმოადგინა, რაც თვითონვე აღიარა, არადამაჯერებელი დოსიე მოწმეთა ყოველგვარი ჩვენებისა და ყოველგვარი სამხილების გარეშე".

ლიბანის მთავრობის პროგრამა

ბეირუთი, 31 იანვარი. საკდესის კორესპონდენტები პ. ეგოროვი და ი. სტეპანოვი იუწყებიან:

გუშინ გაიმართა ლიბანის პარლამენტის საგანგებო სხდომა. მან განიხილა პროგრამა ახალი მთავრობისა, რომელიც გასულ კვირაში შეადგინა დემოკრატიული საპარლამენტო ფრონტის ლიდერმა რაშიდ კარამემ.

„ლიბანის მთავრობას, — განაცხადა რ. კარამემ, — თავის მთავარ ამოცანად მიაჩნია უზრუნველყოს სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა, მისი სუვერენიტეტისა და ეროვნული საზღვრების დაცვა". „მთავრობას, — ხაზი გაუსვა პრემიერ-მინისტრმა, — მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განახორციელოს მთელი ერთობლივი თავდაცვის „ზრუნველსაყოფად, დაიცვას ბრბული ქვეყნების ლაგის წესდება და შეასრულოს არაბულ სახელმწიფოთა მეთაურების თათბირებზე მიღებული გადაწყვეტილებანი".

„მთავრობას განზრახული აქვს ავრეთვე განუხრელად დაიცვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და უშიშროების საბჭოს რეზოლუციები", — განაცხადა ლიბანის მთავრობის მეთაურმა.

შემდეგ რ. კარამემ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობისა და უშიშროების ზრუნველყოფის საქმეში ერთ-ერთი უბრალელესი ამოცანაა საყოველთაო სამხედრო ბეგარის შემოღება სახელმწიფოში, არმიის გამაგრება და ქვეყნის ეროვნული ძალების შეკავშირება". მთავრობის განცხადებაში დაგმობილია ისრაელის იქსპანსიონისტური გეგმები არაბული ქვეყნების მიმართ. განცხადებაში ნათქვამია, რომ ისრაელი, „რომელმაც ხელში ჩაიგდო არაბთა მიწების ნაწილი, ქმნავ ახორციელებს თავის აგრესიულ ზრახვებს". შემდეგ განცხადებაში აღნიშნულია, რომ მთავრობა მიზნად ისახავს მიაღწიოს ლიბანის ეკონომიური მდგომარეობის სტაბილიზაციას ეკონომიკის ხელმძღვანელობაში სახელმწიფო ორგანოების როლის გადიდებით. მთავრობა პირობას ხდებს აღრეთვე იხმაროს ღონისძიებანი სახელმწიფო აპარატის, განათლების და სამხედროებრივი ჯანმრთელობის დაცვის სისტემის საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

პარლამენტის სხდომა, რომელზეც გამოქვეყნდა მთავრობის განცხადება, გაიხსნა პოლიტიკური დაძაბულობის ვითარებაში, რაც შექმნა შინაურმა და გარეშე რეაქციამ და უშიშროების ყოველისა სამმა მემარჯვენე ბურჟუაზიულმა პარტიამ. „სამთა კავშირის" ლიდერებმა მოუწოდეს გამოცხადებინათ გუშინ ბეირუთში „საყოველთაო" მთავრობის საწინააღმდეგო „პროტესტი". მაგრამ ეს რეაქციული განზრახვა ჩაიფიშა. პარლამენტის დეპუტატებმა, ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა, პროფკავშირების ხელმძღვანელებმა და ეროვნულ-პატრიოტულმა წრეებმა პრესის ფურცლებზე დაგმეს რეაქციის ცდები გამოეწვია სახელმწიფოში შინაბრძოლა.

აფეთქების მიზეზები ცნობილია

ვაშინგტონი, 30 იანვარი. (საკდესი). **ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტრომ გუშინ გამოაქვეყნა დასკვნები სპეციალური კომისიისა, რომელმაც გამოიძია ამერიკის ატომურ ავიამზიდ „ენტერპრაიზზე" მომხდარი კატასტროფის გარემოებანი.** როგორც უკვე ვიუწყებოდით, 14 იანვარს რამდენიმე ძლიერი აფეთქებისა და გამოჩენილი ხანძრის შედეგად დაიღუბა 27 და დაშავდა 100-მდე მატროსი ავიამზიდისა, რომელიც საბრძოლო წვრთნას აწარმოებდა ჰავაის კუნძულების რაიონში, ვიეტნამის ნაპირებისაკენ წასვლის წინ.

პირველი აფეთქება ავიამზიდზე, ნათქვამია კომისიის მოხსენებაში, მოხდა თვითმფრინავის ფრთის ქვეშ დაკიდებული რაკეტის გადამეტხურების შედეგად, რაც გამოიწვია სასტარტო მექანიზმის ტორპედის გამნაბოლქვმა ჰავლმა. აფეთქებას მოჰყვა ხანძრები და ახალი სერია ბომბების და რაკეტების აფეთქებისა მახლობლად გაწლაგებულ თვითმფრინავებზე.

ავიამზიდისათვის მიყენებული ზარალი კომისიამ 6,5 მილიონ დოლარად შეაფასა. გემს შეუძლია დაბრუნდეს მწყობრში არაუადრეს სამი თვისა.

„ენტერპრაიზზე" მომხდარი კატასტროფა პირველი როდია ამერიკის ავიამზიდთა ისტორიაში. ამ უკანასკნელ წლებში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო სარდლობის წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს ცნობა სულ ცოტა ათი ამგვარი კატასტროფის შესახებ, რომლებსაც ადამიანის დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ყველაზე დიდი მათ შორის მოხდა 1967 წელს, როცა ავიამზიდ „ფორრესტოლზე", რომელიც ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკის ნაპირების ახლოს იყო, აფეთქების შედეგად დაიღუპა 76 მატროსი და 130-ზე მეტი დაშავდა ან უგზოუკვლოდ დაიკარგა.

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

● **პარიზი,** 31 იანვარი. (საკდესი). ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეამ, რომლის სესია ამჟამად სტრასბურგში მიმდინარეობს, დაგმო საბერძნეთის სამხედრო ხუნტის ანტიდემოკრატიული რეჟიმი.

ხმების უმრავლესობით მიღებულ რეზოლუცია, რომელიც ურჩევს ევროპის საბჭოს მინისტრების კომიტეტს „ქვეყანაში საპარლამენტო დემოკრატიის აღდგენამდე" საბერძნეთის რეჟიმს ჩამოართვას საბჭოში წარმომადგენლობის უფლება, იმასთან დაკავშირებით, რომ უხეშად არღვევს მის სტატუსს.

● **ნიუ-იორკი,** 30 იანვარი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამში ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ავრესიულ ომში მონაწილეობისათვის ჩაიდგა ტაილანდის ჯარების ახალი კონტინგენტი. როგორც ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს საიგონელი კორესპონდენტი იუწყება, დღეს ვიეტნამში გადასხეს ტაილანდის დივიზიის „შავი ჯიქის" ათას ხუთასი ჯარისკაცი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს მშვიდობიანი მოსახლეობის „დაშაშმინების ოპერაციებში".

● **ვაშინგტონი,** 31 იანვარი. (საკდესი). გუშინ ნევადის შტატის კოლიგონზე მოახდინეს 20-დან 200-მდე კილოტონა სიმძლავრის მეწყისკვეშა ატომური აფეთქება. ეს ბომოაცხალა აქ ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისიის წარმომადგენელმა.

ცნობის თანახმად, ეს აფეთქება დაკავშირებულია ახალი სახეობის ატომური იარაღის შექმნასთან.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

პრაღა, 31 იანვარი. (საკდესი). **ფედერალური კრების გუშინდელ სხდომაზე მთავრობის საპროგრამო განცხადება გაკეთა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ო. ჩერნიკმა.**

როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა მთელი თავისი საქმიანობით ეცდება შექმნას პირობები საშინაო პოლიტიკური მდგომარეობისა და საგარეოპოლიტიკური ურთიერთობის შემდგომი სტაბილიზაციისათვის.

ო. ჩერნიკმა განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკამ უნდა დაძლიოს „პრობლემები, რომლებიც მთელი რიგი წლების მანძილზე დაუგროვდა". „მთავრობას სურს მისი პოლიტიკა თანმიმდევრულად რეალისტური იყოს". სახელმწიფოს არამწარმებლური ხარჯების ყოველ გადიდებას, წინ უნდა უძღოდეს წარმოების ეფექტიანობის ზრდა.

მიმდინარე წელს, განაგრძო ო. ჩერნიკმა, მთავრობა შეიმუშავებს დოკუმენტებს, რომლებიც შეეხება ხუთწლედს 1975 წლამდე, „მათ შორის ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკის წინასწორობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების პროგრამას.

ამ დოკუმენტების შემუშავებისას მთავრობა იხელმძღვანელებს შრომის საერთაშორისო დანაწილების პოტენციური შესაძლებლობებით, უწინარეს ყოვლისა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 70 პროცენტზე მეტი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებზე მოდის. ამ ორიენტაციას მთავრობა გააღრმავებს.

„განსაკუთრებული ყურადღება გვინდა დავუთმოთ თანამშრომლობის განვითარებას სსრ კავშირთან, რომლის ეკონომიკა ჩვენთვის უდიდესი ზუნგი და მტკიცე პერსპექტივაა".

ჩეხოსლოვაკიის მონაწილეობას ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის აზრით, ხელი უნდა შეეწყო თანამშრომლობის უფრო ინტენსიური გზების გამონახვისათვის.

„საპროგრამო განცხადების საგარეოპოლიტიკურ ნაწილში აღნიშნულია, რომ „მთავრობა აპირებს განახორციელოს აქტიური და ინიციატივიანი საგარეო პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეუსაბამდება ორგორც ეროვნულ ინტერესებსა და საჭიროებებს, ისევე ინტერნაციონალურ მოვალეობებს".

„დარწმუნებული ვართ, — თქვა ო. ჩერნიკმა, — რომ საყოველთაო მშვიდობის ინტერესები მოითხოვს ყველა ქვეყნის მთავრობები გულწრფელად და დაუსტრმლად ესწრაფოდნენ საკონფლიქტო სიტუაციების გადაჭრას, მშვიდობიანი საშუალებებით და ხალხთა შორის ურთიერთგაგების მიღწევისა და მშვიდობიანი თანაშრომლობის გაღრმავებისათვის პრობლემის შექმნას. მხოლოდ ასეთი ბრნეიციებით შეიძლება დადგეს საფუძველად დაბაბულობის შენელებას".

„მთავრობა მიესალმა იმ ფაქტს, რომ პარიზში, როგორც იქნა დაიწყო მოლაპარაკება ვიეტნამის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ჩვენ კვლავ აღვუთქვამთ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მთელ ვიეტნამელ ხალხს, რომ კვლავაც შეუძლიათ იქონიონ ჩვენი ხალხის მხარდაჭერისა და დახმარების იმედი".

შემდეგ ო. ჩერნიკმა მხარი დაუჭირა პოლიტიკურ მოწესრიგებას ახლო აღმოსავლეთში. „ასეთი გადაჭრის საფუძვლად, — განაცხადა მან, — ჩვენ კვლავ მიგვაჩნია უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუცია. მზად ვართ მხარი დავუჭიროთ ყველა წინადადებასა და ღონისძიებას, რომელთა მიზანია მდგომარეობის მტკიცე პოლიტიკური მოგვარება და მშვიდობის უზრუნველყოფა ამ რაიონში".

„ჩვენ სავსებით ვიზიარებთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების უმრავლესობის იმ პოზიციას, რომ ამჟამად საჭიროა ვეძიოთ ახალი შესაძლებლობანი შემდგომ ცალკეულ შეთანხმებათა მისაღწევად განიარაღების დარგში". ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის აზრი" ძვირფასი წვლილი იქნებოდა პროგრესის საქმეში, რომ ატომური იარაღის გაუგრცელებლობის ხელშეკრულება რაც შეიძლება მალე დამტკიცებინათ და ხელი მოეწერათ ქვეყნებს, რომლებსაც დღემდე არ დუმტკიცებიათ და არ მოუწერიათ ხელი. ამიტომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა უახლოეს დროში წარუდგენს ფედერალურ კრებას წინადადებას ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

„მთავრობა კვლავაც ეცდება შეათანხმოს სსრ კავშირთან და სხვა მოკავშირეებთან პოლიტიკა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებში, ჩვენი საერთო ინტერესების საკითხებში".

ჩვენი საგარეო პოლიტიკის მტკიცე საფუძველია, — განაგრძო ო. ჩერნიკმა, — ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ურღვევი კავშირი და თანამშრომლობა სსრ კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, რომლებთანაც ჩვენ გვაერთიანებს საერთო კლასობრივი ინტერესები და საერთო მიზნები. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ინტერესები მოითხოვს ყველა სოციალისტური ქვეყნის უაღრესად მჭიდრო პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ, მეცნიერულ და ტექნიკურ კავშირს და ეფექტიან და ჰარმონიულ თანამშრომლობას".

ჩეხოსლოვაკიის მთავრობა ესწრაფვის უწინარეს ყოვლისა უშიშროებისა და მშვიდობის უზრუნველყოფას ევროპაში. სტაბილიზაციის მთავარ ფაქტორად ევროპაში მას მიაჩნია „დაცვა და აღიარება ომისშემდგომი რეალობისა, კერძოდ ორი გერმანული სახელმწიფოს და დაწესებული საზღვრების არსებობა". „მთავრობა ხელს შეუწყობს ევროპის ქვეყნების თანამშრომლობის გაფართოებას და ეცდება რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურმა რესპუბლიკამ შემოქმედებითი და კონსტრუქციული წვლილი შეიტანოს ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში".

მთავრობის განცხადებაში აღნიშნულია, რომ დასავლეთისა და ნატოს მემარჯვენე და ექსტრემისტული წრეები ცდილობენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ამბები გამოიყენონ იმისათვის, რომ გააღვივონ „ცივი ომის" ფსიქოზი და დაბრკოლებები შექმნან დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დაძაბულობის შენელების გზაზე. ამასთან დაკავშირებით, თქვა ო. ჩერნიკმა, მთავრობა გმობს ნატოს მანევრებს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ხაზღვრების ახლოს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რევანშისტულ, ნეონაცისტურ და მილიტარისტულ წრეებს, რომლებიც განსაკუთრებით აქტიურად იბრძვიან ნატოს ყოველმხრივი განმტკიცებისათვის.

„კვლავ შესაძლოდ მიგვაჩნია რა ურთიერთობის ნორმალიზაცია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის, — განაცხადა ო. ჩერნიკმა, — ჩვენ , არაერთხელ ხაზგასმით აღგვინიშნავს და მოკავშირეებთან ერთად დოკუმენტებში ჩაგვიწერია ძირითადი წინამძღვრები, რომლებიც უნდა შექმნას ბონის მთავრობამ, აღიაროს, კერძოდ, რომ მიუნხენის შეთანხმება თავიდანვე უკანონო იყო. საკვირო, რომ დასავლეთ გერმანიაში ვაიმარჯვონ ძალებმა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ გერმანელი ხალხის მომავლისათვის საჭიროა ყველა ხალხთან მშვიდობისა და კეთილნაყოფიერი თანამშრომლობის პირობები".

„ჩვენ გვსურს კვლავაც განვავითაროთ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკა. საერთაშორისო ფორუმებზე და ურთიერთობაში ჩვენ მხარს დავუჭერთ განვითარებადი ქვეყნების სამართლიან მოთხოვნებს, განსაკუთრებით დეკოლონიზაციის და სოციალური და ეკონომიური ემანსიპაციის პროცესის დაგვირგვინებას".

„ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს განამტკიცოს ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვითი ძალიერება და პატიოსნად შეასრულოს თავისი ინტერნაციონალური ვალდებულებანი", — ნათქვამია საპროგრამო განცხადებაში. „ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია კვლავაც ვაშენოთ ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმია, როგორც თანამედროვე ყოველმხრივ მომზადებული არმია სოციალისტური ტიპისა. ეს იქნება ჩვენი მთავარი წვლილი ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების თავდაცვითი ძალიერების განმტკიცებაში".

ნაწილში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის თანამედროვე შინაპოლიტიკური მდგომარეობის აქტუალური პრობლემების შესახებ მთავრობა ყურადღებას უთმობს იმას, რომ მის მუშაობას პოლიტიკურ დარგში აფერხებენ „მოვლენები, კვლავ აშორებენ საზოგადოების ყურადღებას პოზიტიურ შემოქმედებით მუშაობას, ქმნიან დაძაბულობას, ნერვიულ ვითარებას, რომელსაც ახასიათებს მოუთმენლობა და აჩქარება".

„ჩვენ გვსურს აღვუთქვათ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური, რესპუბლიკის პარლამენტსა და მშრომელ ხალხს, — ხაზი გაუსვა ო. ჩერნიკმა, — რომ მთავრობა მზადაა შეასრულებს თავის მოვალეობებს ჩეხოსლოვაკიის ხალხის რევოლუციურ სოციალისტურ მონაპოვართა განვითარებისა და დაცვის საქმეში".

მუშაობა კლასი გადამწყვეტი პოლიტიკური ფაქტორია. მთავრობას განზრახული აქვს თავის პოლიტიკაში დაეყრდნოს უწინარეს ყოვლისა პოლიტიკურ სიმწიფეს მუშათა კლასისას, რომელმაც შეძლო თავისი კლასობრივი ინტერესები გაეერთიანებინა ჩვენი ხალხებისა და საზოგადოების საერთო მთხოვნებთან. „ჩვენ უმოკლეს ვადაში უნდა მივაღწიოთ საზოგადოების ცხოვრების ნორმალიზაციას, ნორმალურ და ეფექტიან შრომითს რიტმს", — განაცხადა დასასრულ ო. ჩერნიკმა.

სამხედრო-პოლიტიკური პროვოკაცია

ბონი, 30 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვინოგრადოვი გვატყობინებს:

რაც უფრო ფართოვდება ბავარიაში ამერიკის სამხედრო-საველე წვრთნა „კარბად აისი", სულ უფრო ცხადი ხდება მისი პროვოკაციული არსი. ამ მანევრების ძირითადი მიზანია გაამწვავოს ვითარება სოციალისტური ქვეყნების საზღვრებზე. ბავარიის გრაფენვერის პოლიგონის რაიონში მოქმედი ქვეგანაყოფები პირობითად დაყოფილია „წითელ შემტევ მხარედ" და „ცისფერ თავდამცველ მხარედ". როგორც გაზეთი „რაინიშე პოსტი" იუწყება, 10 ათასი კაცისაგან შემდგარი „ცისფერთა" ქვეგანაყოფები ჩამოიყვანეს ვერტმფრინავებით თავდაცვითის პოზიციებზე, რომლებსაც უტიეს" დაახლოებით 7 ათასი „წითელი ჯარისკაცი".

როგორც გაზეთი „ზეუდდოიჩ�ტენგი" იუწყება, თავდამსხმელმა „წითლებმა" გადალახეს სავარაუდო" პოლიტიკური საზღვარი". გაზეთი ხაზს უსვამს, რომ შეტევის მიმართულება „შეესაბამება თავდასხმას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაზე, რომელიც მობდებოდა ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ტერიტორიიდან". როგორც თავის მხრივ გაზეთი „ნოე რაინ ცაიტუნგი" აღნიშნავს, უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ამერიკის ეს უდიდეს მანევრებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საფუძვლად უდვეს „ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკიდან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაზე მოსალოდნელი თავდასხმა".

რაც შეეხება დასავლეთ გერმანიის მხედრიონს, იგი ცდილობს სავსებით დაუჭიროს მხარი ამ პროვოკაციას. როგორც დღეს გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე" აღნიშნავს, ამერიკის ოპერაციას „რეფორჯერ-1"-ს დასავლეთ გერმანიაში ამერიკის შეერთებული შტატებიდან საჰაერო გზით დიდი ჯარის კონტინგენტების გადასაყვანად „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობაში თვალსაჩინო მიღწევას უწოდებენ".

გადასინჯავენ „დახმარების" პროგრამას

ნიუ-იორკი, 30 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ო. ანიჩკინი გვატყობინებს:

ამერიკის შეერთებული შტატები ძირფესვიანად გადასინჯავს უცხოელი სახელმწიფოებისათვის ეგრეთწოდებული „ეკონომიური დახმარების" პროგრამას, იუწყება გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯორნელი", რომელიც იმოწმებს საქმეში ჩახედულ ვაშინგტონის წრეებს. გათვალისწინებულია ამ პროგრამის ხელმძღვანელობა გადასცენ სახელმწიფო დეპარტამენტს, რათა კიდევ უფრო დოქმდებარონ იგი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ინტერესებს.

„ეკონომიური დახმარების" დაგეგმვისას, აღნიშნავს „უოლ-სტრიტ ჯორნელი", ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს შეწყვიტოს ან მკვეთრად შეამციროს ეს დახმარება იმ ქვეყნებისათვის, რომელთა სახელმწიფო წყობილება და პოლიტიკა ხელს არ აძლევს ვაშინგტონს.

გათვალისწინებულია შეუმცირონ „დახმარება" იმ ქვეყნებს, რომლებშიც „მკაცრ სახელმწიფო კონტროლს" უწევენ ეკონომიკას. მათ შორის გაზეთი, კერძოდ, ასახელებს ინდოეთს.

ვაშინგტონი აპირებს მეტი როლი მიანიჭოს ამერიკის კერძო მონოპოლიებს უცხოეთისადმი „დახმარების" პროგრამის განხორციელებაში. „უოლ-სტრიტ ჯორნელი" ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ამერიკის კერძო საფინანსო დაწესებულებანი არ მისცემენ კრედიტებს იმ განვითარებად ქვეყნებს, სადაც შეიძლება სოფრთხე შეექმნას ამერიკის მონოპოლიათა ინტერესებს.

ამერიკის „დახმარების" პროგრამის გადასინჯვა, რაზეც წერს გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯორნელი", ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური ინტერესებისათვის, რომელიც ცდილობს გაიძლიეროს თავისი გავლენა განვითარებულ ქვეყნებში.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

მე-3 გვერდი, შაბათი, 1 თებერვალი, 1969 წ.

სოციალისტურ ქვეყნებში

სსრ კავშირის დახმარებით

ულან-ბატორი. მონღოლეთის დედაქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში აღიმართა თბოელექტროსადგურის კორპუსი, რომელიც შენდება საბჭოთა კავშირის დახმარებით. საბჭოთა მშენებლები და სპეციალისტები დაძაბულად შრომობენ, რათა უკვე უახლოეს ხანში საექსპლოატაციოდ გადასცენ მონღოლეთის ენერგეტიკული მრეწველობის ახალი ობიექტის პირველი რიგი.

ელექტროენერგიის გამომუშავება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში განუხრელად იზრდება საბჭოთა კავშირის დახმარების შედეგად, რომელმაც ჯერ კიდევ 35 წლის წინათ აუშენა პირველი დიდი ელექტროსადგური ულან-ბატორში. ორი წლის შემდეგ მონღოლეთი აწარმოებს 25 პროცენტით მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე ამჟამად. (საკდესი).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ

1969 წელს პოლონეთის 15 დასახლებულმა პუნქტმა მიიღო უფლება ქალაქი ეწოდოს. მათ შორის არიან ლოდზი და კოგილკა ვარშავის სავოეკვოდოში, ხელმიკი და სულკოვიცე კრაკოვის სავოეკვოდოში, ბარდო და ზავიტოვი ვროცლავის სავოეკვოდოში.

ახლა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში 834 ქალაქია. 1954 წლის შემდეგ ქალაქად გადაიქცა 120-ზე მეტი დასახლებული პუნქტი.

რაკეტები იკვლევენ ატმოსფეროს

ვარშავა, (საკდესი). უკვე 10 წელიწადია არსებობს კრაკოვის რაკეტების და თანამგზავრების საკვლევი ინსტიტუტი. ინსტიტუტმა შექმნა და 40 კილომეტრამდე სიმაღლეზე გაუშვა „მეტეორ-1" ტიპის 100 რაკეტა.

ამჟამად ინსტიტუტში, როგორც პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ქმნიან რაკეტებს „მეტეორ-2" — და მეტეორ-3". ეს უკანასკნელი ორსაფეხურიანი იქნება. რაკეტების ფრენის სიმაღლის ჭერი 60 კილომეტრია.

ამზადებენ აგრეთვე პირველი პოლონური სტუდენტის საწინააღმდეგო რაკეტის გაშვებას.

გარდა ამისა, კრაკოვის ინსტიტუტის უახლესი მომავლის გეგმებით გათვალისწინებულია მუშაობა რაკეტების საშუალებით ხელოვნური დაწვიმებისა და ღრუბლების გაფანტვის დარგში.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲣᲠᲘ ᲐᲕᲯᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘ

პრაღა. მიმდინარე წელს ახალ მიჯნაზე გამოდიან მლადა-ბოლესლავის ავტომობილშენებლები. წლის მეორე ნახევარში ქარხანა დაიწყებს მოდერნიზებული მოდელის გამოშვებას. ახალ „შკოდას" ეძნება უფრო ელეგანტური ძარა და მთელი რიგი სამარჯვები მგზავრთა უსაფრთხოებისათვის. მანქანას ეძნება 135 კილომეტრამდე სიჩქარე საათში. (საკდესი).

ᲤᲝᲢᲝᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

ითვალისწინებენ რა ახალგაზრდობის ინტერესს სპორტისადმი, ეკლესიის მსახურნი მას რელიგიის სასარგებლოდ იყენებენ. ეკლესიაში ახალგაზრდობის მიზიდვის მიზნით დასავლეთ ევროპის ეკლესიების წარმომადგენლები მრავალ სპორტულ ღონისძიებას აწყობენ: აყალიბებენ ფეხბურთელთა და კალათბურთელთა საეკლესიო გუნდებს, ახალგაზრდა მოლოზნებს ასწავლიან მოტოციკლის ტარებას... მაგრამ ამ საქმეში ყველას გადააჭარბა ინგლისის ცნობილი წმინდა პავლეს ტაძრის კაპელანმა, რომელსაც ჟურნალისტებმა „მფრინავი კაპელანი" უწოდეს.

ამისათვის, რომ ახალგაზრდობა რელიგიით დაინტერესებულიყო, კაპელანი სალივენი თორმეტმეტრიანი კოშკურიდან პარაშუტით გადმოხტა. იგი მშვიდობით დაეშვა მიწაზე. ამის აღსანიშნავად ეკლესიის შენობაში გაიმართა პოპ-მუსიკის კონცერტი.

ფოტო „კეიკ" — ახალი ამბების სააგენტოსი.

ᲔᲠᲐᲯᲘ. ᲑᲐᲚᲓᲑᲔᲭᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲡᲢᲔᲑᲘ. ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲮᲛᲐᲣᲠᲘᲐᲜ ᲙᲣᲩᲘᲡᲨᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲡᲐᲢᲕᲘᲠᲗᲝ ᲓᲐ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲘᲗ ᲖᲐᲜᲢᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚ ᲡᲐᲙᲝᲜᲔᲚᲡ.

ფოტო ცაფ-ხაკდესისა.



ᲙᲝᲡᲢᲐ-ᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲰᲧᲝᲤᲜᲘᲗ 87 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲑᲘᲜᲐ. ᲜᲐᲮᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲙᲐᲪᲘ, ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲔᲓᲘ, ᲣᲑᲘᲜᲐᲝᲑᲘᲡ ᲥᲠᲘᲖᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲖᲔ: ᲨᲔᲡᲐᲤᲣᲗᲐᲕᲘ ᲧᲣᲗᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚ ᲐᲡᲔᲗ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲔᲜ ᲙᲝᲡᲢᲐᲠᲘᲙᲘᲚᲘ ᲚᲐᲢᲐᲙᲘ.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

ჩვენს აჩე-მაჩეში

„მებრძოლის“ მე-7.000 ნომერი

ზუგდიდი. (საკ. კორ.). რაიონისა და ქალაქის მოსახლეობამ აღნიშნა თავიანთი საყვარელი გაზეთის — „მებრძოლის“ მეშვიდეთასმეერთ ნომრის გამოსვლა. მისი პირველი ნომერი გამოვიდა 1930 წლის მარტში. მაშინ იგი ღარიბ და საშუალო გლეხობას მოუწოდებდა კოლექტივიზაციისაკენ. ამ დროიდან გაზეთი „მებრძოლი“ აქტიურად მონაწილეობს მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებაში.

ამ ხნის მანძილზე გაზეთის ფურცლებზე სხვადასხვა დროს დაბეჭდილია ლეო ქიაჩელის, შალვა დადიანის, კონსტანტინე გამსახურდიას, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ალიო მირცხულავას, კარლო კალაძის, იოსებ ნონეშვილის, ხუტა ბერულავას, რევაზ მარგიანის, ბორის ჩხეიძის და სხვა ცნობილ მწერალთა ნაწარმოებები. სახალხო პოეტმა აკადემიკოსმა ი. გრიშაშვილმა 1945 წელს ზუგდიდში დაწერა ცნობილი ლექსი „გამარჯვების გაზაფხული“, რომელიც პირველად „მებრძოლში“ დაიბეჭდა.

ახლა „მებრძოლის“ ტირაჟი 13 ათასს აღემატება. გაიზარდა არა მარტო მკითხველთა რიცხვი, არამედ მუშსოფლკორთა კოლექტივიც. „მებრძოლი“ ემსახურება ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის მშრომელებს, აგრეთვე ენგურჰესის მშენებლებს, აშუქებს მათს შრომითს ცხოვრებას, საამკარაოზე გამოაქვს ნაკლოვანებები. ამიტომაც უყვართ თავიანთი გაზეთი ზუგდიდელებს.

ზუგდიდის გზებზე

ფოტო ს. თევზაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ეძიმი. გვირჩევს

გრიპის ზოგიერთი შედეგი

ერთი მეტ წელ შემოხვევებში საკმაოდ ილად მმდინარეობს — რამდენიმე დღის შემდეგ კაცი პრაქტიკულად გამოჯანმრთელებოდა. მაგრამ ზოგჯერ გრიპმა, რომელიც თავდაპირველად უწყინარია, შეიძლება გამოიწვიოს მძიმე გართულებანი, მათ შორის ისეთები, რომლებიც ნერვულ სიწტეზას აზიანებენ.

საქმე ის არის, რომ ამ ინფიქციის აღმძრელი ვირუსი ნეიროტროპულია, ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, ნერვული უჯრედების დაზიანების განსაკუთრებული მიდრეკილება აქვს. შემთხვევითი რიდია, რომ მსუბუქი გრიპის დროსაც კი მთელი რიგი სიმპტომები (თავის ძლიერი ტკივილი, თავბრუს ხვევა, ძილის მოშლილობა, ტკივილი თვალის კაკლების მოძრაობისას და სხვ.) მოწმობენ ნერვული სისტემის დაზიანებას.

გრიპის ყველაზე საშიში შედეგების რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ თავის ტვინის ნივთიერების ანთებანი (ენცეფალიტები) და ტვინის გარსის ანთებანი (მენინგიტები). საბედნიეროდ, გაცილებით უფრო გავრცელებულია არა იმდენად სიმონი შედეგები — ნერვული ღეროების, ნასკვებისა და ძირების ანთებანი, აგრეთვე იმ ავადყოფობათა გამწვავება, რომლებიც მანამდე ქრონიკულად მიმდინარეობდნენ, კერძოდ ოშიასისა.

პოლიკლინიკებს მიმართავენ აგრეთვე ავადმყოფები, რომლებსაც გრიპის შემდეგ სახის ნერვის ნევრიტი განუვითარდათ. ეს ნერვი მიმიკის მუსკულატურას „განაგებს“. ასეთი ადამიანის შესახედაობა დამახასიათებელია: ნახევარი სახე უძრავი აქვს, პირი — მოღრეცილი, არ შეუძლია თვალი მოჭუჭოს, შუბლი შეიჭმუხნოს. ჩვეულებრივად სიამოვნების, გაჯავრების, ტანჯვის, აღტაცების გრძნობებს თან ახლავს მიმიკური მოძრაობანი, რომელნიც თანამოსაუბრეს განსაკუთრებულ გამომსახველობას აძლევენ. სახის ნერვის ნევრიტის

ზამთრის ბოლო

ეკონომიკა

ბოსწავლის მაკაცობა

რუსთავი. (საქდესი). ლამაზია ზამთრის მორთულობაში რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკი. მის სანახავად ამ ცივ ზამთარში მოვიდა რუსთავის სკოლების მოსწავლეთა ჯგუფი. შემდეგ ბავშვებმა გადაწყვიტეს ასულიყვნენ არიშის ციხის ნანგრევებზე. და უცბად არხზე გადასვლის დროს თერთმეტი წლის ნატაშა პიხოვას ფეხი დაუცდა და მტკვარში ჩავარდა.

მოსწავლეებმა მოინდომეს ნატაშას გადარჩენა, მაგრამ არც ერთმა მათგანმა არ იცოდა კარგად ცურვა.

ამ დროს, შორიახლო მიდიოდა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლის ფორმაში გამოწყობილი ბიჭი. იგი წყალში გადაეშვა, ამოიყვანა ნატაშა წყლიდან და მოასულიერა.

ეს კეთილშობილური საქციელი ჩადენია რუსთავის № 8 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ ანატოლი პავლოვმა.

ბრიგადა თებერვალი — ზამთრის უკანასკნელი თვე. როგორი იქნება იგი?

დასავლეთ საქართველოში თვის დასაწყისში, 1-დან 5-მდე და შემდეგ 10-15 თებერვალს მოსალოდნელია **ღრუბლიანი ამინდი** ნალექით, უმეტესად თოვლის სახით. თვის დანარჩენ დროს გათვალისწინებულია ციცლებადი მოძრაობლობა, უმეტესად უნალექოდ.

ჰაერის ყველაზე დაბალი ტემპერატურა მოსალოდნელია პირველი დეკადის პირველ ნახევარში, დაბლობ რაიონებში ღამით 0-5 გრადუსი ყინვა, დღისით 4-9 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 5-10 გრადუსი ყინვა, დღისით 2-7 გრადუსი სითბოს; მაღალმთიან რაიონებში ღამით 10-15 გრადუსი ყინვა, დღისით 2 გრადუსი ყინვა 3 გრადუსი სითბო.

შედარებით დათბება მეორე დეკადის პირველ ნახევარსა და მესამე დეკადის შუა რიცხვებში. დაბლობ რაიონებში იქნება ღამით 2-7, დღისით 18-23 გრადუსი სითბოს; მთიან რაიონებში ღამით 1-6, დღისით 13-18 გრადუსი სითბოს; მაღალმთიან რაიონებში ღამით 1-6 გრადუსი ყინვა, დღისით 5-10 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში 1-5 და 10-15 თებერვალს მოსალოდნელია **ღრუბლიანი ამინდი** ნალექით, მთიან რაიონებში თოვლის სახით, თვის დანარჩენ დროს გათვალისწინებულია ციცლებადი მოძრაობლობა, უმეტესად უნალექოდ.

ჰაერის ყველაზე დაბალი ტემპერატურა მოსალოდნელია პირველი დეკადის პირველ ნახევარში, დაბლობ რაიონებში ღამით 0-5 გრადუსი ყინვა, დღისით — 0-5 გრადუსი სითბო; მაღალმთიან რაიონებში ღამით 10-15 გრადუსი ყინვა, დღისით 3 გრადუსი ყინვა 2 გრადუსი სითბო.

ჰაერის ყველაზე მაღალი ტემპერატურა გათვალისწინებულია მეორე დეკადის პირველ ნახევარში და მესამე დეკადის შუა რიცხვებში. დაბლობ რაიონებში იქნება ღამით ერთი გრადუსი ყინვა, 4 გრადუსი სითბო, დღისით 5-10 გრადუსი სითბოს; მთიან რაიონებში — ღამით 5-10 გრადუსი ყინვა, დღისით — 0-5 გრადუსი სითბო; მაღალმთიან რაიონებში ღამით 10-15 გრადუსი ყინვა, დღისით 3 გრადუსი ყინვა 2 გრადუსი სითბო.

ჰაერის ყველაზე მაღალი ტემპერატურა გათვალისწინებულია მეორე დეკადის პირველ ნახევარში და მესამე დეკადის შუა რიცხვებში. დაბლობ რაიონებში მოსალოდნელია ღამით 1 გრადუსი ყინვა — 4 გრადუსი სითბო, დღისით — 17-21 გრადუსი სითბოს; მთიან რაიონებში — ღამით 1-6 გრადუსი ყინვა, დღისით — 12-17 გრადუსი სითბოს; მაღალმთიან რაიონებში — ღამით 3-8 გრადუსი ყინვა, დღისით 5-10 გრადუსი სითბო.

ა. იმნაძე,
უფროსი ინჟენერ-სინოპტიკოსი.

თებერვალი დადგა... ამინდი

ჰყვავის კამელია

შავი ზღვის სანაპიროზე თბილა. ბაღებსა და პარკებში აყვავდა მკენარეები. განსაკუთრებით ლამაზია თეთრი, ვარდისფერი და წითელი კამელიები. სანტერესოა ამ მკენარის ისტორია. მეთვრამეტე საუკუნეში იგი აზიიდან ევროპაში ჩამოიტანა მისიონერმა კამელმა. მარადმწვანე ბეჩქმა, რომელიც ყვავილს იძლევა, ერთბაშად მოიპოვა თაყვანისმცემლები. იგი გაამშვენეს როგორც დეკორატიული მკენარე.

კამელიის უმდიდრესი კოლექცია არის ბათუმის ბოტანიკურ ბაღში. ამ ბოლო დროს აქარაში გაშენდა ამ კულტურის სამრეწველო პლანტაციებიც. აღმოჩნდა, რომ კამელიის ფოთლები შეიცავენ ზეთს, რომელსაც იყენებენ მედიცინაში სადეზინფექციო საშუალებად. (საქდესი).

ვ. გუჯაბიძე

ერი ეძებს მილიონერებს

გარდაიცვალა რკინიგზის ტრანსპორტის ერთერთი ინჟენერი, პენსიონერი ვ. გუჯაბიძე. სამოცდაერთი წლიდან, საპატიო რკინიგზელი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟენერი, პერსონალური პენსიონერი ვასილ დიმიტრისძე გუჯაბიძე.

ვ. გუჯაბიძე დაიბადა 1899 წელს ლანჩხუთის რაიონში, გლეხის ოჯახში. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1917 წელს ამიერკავკასიის რკინიგზაზე. მუშაობდა ტელეგრაფისტად ჭიათურის, ფოთის, ბათუმის, თბილისის სადგურებში.

ამიერკავკასიის გზათა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამუშაოთა მწარმოებლად იყო თბილისის კომუნალურ დისტანციაში. მოკლე დროში ვ. გუჯაბიძემ თავი გამოიჩინა როგორც ენერგიულმა და ნიჭიერმა მუშაკმა და თანდათან წინაურდებოდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

დიდი სამამულო ომის წლებში ვ. გუჯაბიძე სათავეში ჩაუდგა სამტრედიის სალიანდაგო დისტანციის კოლექტივს, უზრუნველყოფდა სამხედრო ეშელონებისა და ტრანსპორტების, აგრეთვე სახალხო-სამეურნეო ტვირთების მატარებლების შეუფერხებელ მოძრაობას.

1947 წელს ვ. გუჯაბიძე ინიშნება ამიერკავკასიის რკინიგზის სალიანდაგო სამსახურის უფროსად. 1950 წლიდან პენსიაზე გადასვლამდე გზის სოხუმის განყოფილების უფროსი იყო. ვ. გუჯაბიძემ თავისი მდიდარი ცოდნა და გამოცდილება მოახმარა რკინიგზის ტრანსპორტს.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ვ. გუჯაბიძის მრავალი წლის უმწიკლო მუშაობას. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორი ორდენით, მედლებით.

უნარიანი ხელმძღვანელის, ენერგიული მუშაკის, გულისხმიერი და ყურადღებიანი ამხანაგის ვასილ დიმიტრის-ძე გუჯაბიძის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ამიერკავკასიის მაგისტრალის რკინიგზელთა გულში.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო, ამიერკავკასიის რკინიგზის საბჭო, პროფსაბჭო.

სტუმრად მოსკოველ სტუდენტებთან

მოსკოვი, 31 იანვარი. (საქდესის კორ.). ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური სახლისა და მეცნიერთა სახლის მოწვევით მოსკოვში, სტუდენტთა არდადეგების დროს, ჩამოვიდა ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საესტრადო სიმღერების ფესტივალის ლაურეატი სტუდენტთა საესტრადო ორკესტრი „ლალე“ დოცენტ თ. ციციშვილის ხელმძღვანელობით. კოლექტივის პროგრამაშია სიმღერები საესტრადო ორკესტრისა და სიმფონიური ჯაზის თანხლებით, ქართული და საზღვარგარეთელ კომპოზიტორთა მუსიკა, ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები. „ლალე“ წარმატებით გამოვიდა ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში, მეცნიერთა სახლსა და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მოსკოველები ჯეროვნად აფასებენ სტუდენტთა პროფესიონალობას.

8 თებერვალს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართება საესტრადო ორკესტრ „ლალეს“ მონაწილეებთან მოსკოველ სტუდენტთა შეხვედრების საღამო.

ასპარეზობა გაანაახლეს

ლიდერი ორია

ბათუმში სტუდენტ მოჭადრაკეთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებმა დისტანციის მესამედი გაიარეს. ლიდერი ორია — თბილისელი გიორგაძე და მინსკელი კუპრეიჩიკი, რომლებმაც სამნახევარ-სამნახევარი ქულა აქვთ. თ. გიორგაძემ მესამე ტურში დაამარცხა ანიკეევი, ხოლო მეოთხე და მეხუთე ტურებში ყაიმით დაამთავრა შეხვედრები უბერავასთან და ტიმოშჩენკოსთან.

პ. მორჩილაძე,
შეჯიბრების მსაჯი.

ქლმკ-ატკსკ და ვილნიუსში...

● **ალმა-ატაში** საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში, გუშინ ლიდერებმა ა. ზაიცევმა და პოლუგაევსკიმ ყაიმით დაამთავრეს პარტიები ი. ზაიცევთან და ტალთან, 12,5-12,5 ქულა შეაგროვეს და პირველი და მეორე ადგილები გაიყვეს. ჩემპიონის გამოსავლინებლად ამ ორ მოჭადრაკეს შორის მოეწყობა დამატებითი მატჩი.

● **ვილნიუსში** საკავშირო პირველობაზე მატჩი აქვთ ჩვენი ქვეყნის ცნობილ მოშაშეებს რიგელ ა. ანდრეიკოსა და მინსკელ ა. განტვარგს. 30 იანვარს მეტოქეებმა გაითამაშეს მესამე პარტია. საერთაშორისო გროსმაისტერი ა. ანდრეიკო ალმავლობით იბრძოდა და 52-ე სვლაზე გაიმარჯვა.

სამი ტურის შემდეგ ანგარიში გახდა 2,5:0,5 ა. ანდრეიკოს სასარგებლოდ.

უძლიერესი გამოვლინდა

ლენინგრადში დამთავრდა ჩოგბურთელთა ზამთრის საკავშირო ტურნირის გუნდური ასპარეზობა. როგორც ვიუწყებოდით ფინალში გავიდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები. მათი შეხვედრა, რომელიც 30 იანვარს შედგა, ფამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით ანგარიშით 5:1. დედაქალაქის გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა.

მეშვიდე გამარჯვება

კიევში ერთი, რიცხვით მეშვიდე მატჩი გამართეს ქანადაში საბჭოთა ჰოკეისტებმა ამ ქვეყნის ნაკრებთან და ამჯერადაც გიმარჯვეს ანგარიშით 10:4.

ფრენბურთი

● **კვირა, 2 თებერვალი**

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, **06.35** — ქართული ხალხური სიმღერები, **08.30** — მსუბუქი მუსიკა, **09.15** — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, **09.30** — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვება, **11.00** — „პიონერთა დაფიონი“ (მოსკოვი), **11.45** — გრ. კოლაძე. სიმღერა „ლამარა“, **12.05** — მუსიკალური რადიოფიშა, **12.30** — რადიოეუროპული „ფიზკულტურა და სპორტი“, **13.00** — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის. კონცერტი — საუბარი „კომპოზიტორი, შემსრულებელი, მსმენელი“, **14.00** — მოსწავლეთათვის. „მეცხრე“. რადიოდადგმა, **15.00** — „მეგობრების კონცერტი“ ტრანსლაცია ბაკოდან, **15.40** — „ახალი წიგნები“, **16.15** — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. რადიოეუროპული „ისმინე, ჯარისკაცო“, **17.15** — მოცეკვა. ფანტაზია ფორტეპიანოსათვის, **17.30** — საუბარი „ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციის შესახებ“, **17.45** — ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრის კონცერტი. ხელმძღვანელი — კ. ვაშაიძე, **18.00** — უკანასკნელი ცნობები, **18.10** — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, **19.00** — ა. გომიაშვილი. ლექსები, **19.10** — რომსკი-კორსაკოვი. საორკესტრო სიუიტა „შეჰერეზადა“, **20.40** — გიორგი ლეონიძე. ინსცენირებული მოთხრობები, **21.30** — ვერდი. ოპერა „ტოველო“ (მონტაჟი), **22.50** — რ. ქარუხნიშვილი. „საცეკვაო ინტერვიზიები“, **23.30** — მუსიკა კინოფილმებიდან, **23.55** — უკანასკნელი ცნობები.

● **შაბათი, 1 თებერვალი**

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასასმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — მუსიკალური გასართობი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — სკოლამდელთათვის „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.40 — კინონარკვევი, 12.00 — „მეოდოდიდან მეოდოდამდე“ — საესტრადო კონცერტი, 12.30 — „ცეკვის სიცოცხლე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „ცოდნა“ — სამეცნიერო-შემეცნებითი პროგრამა (გადმოცემა ლვოვიდან), 14.00 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.50 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან) 15.20 — სატელევიზიო თეატრი ბავშვებისათვის. „მოროზკო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — ახალი ამბები, 17.10 — კონცერტი მოსწავლეთა თხოვნით, 17.50 — კინონარკვევი, 18.00 — ცენტრალური ტელევიზიის ფირადი პროგრამა, 19.30 — „კინოაფიშა“, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.25 — „ოქროპირი“ (სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი); 21.10 — კინონარკვევი, 21.30 — კონცერტი, 22.00 — მხატვრული ფილმი „ერთხელ კიევ სიყვარულზე“, 23.35 — პროგრამა მეორე დღისათვის, 23.45 — კინონარკვევი, 23.55 — მსოფლიო ჩემპიონატი ციგურებით ჩქაროსნულ სირბილში (გადაცემა გრენობლიდან).

ტელევიზია

● **კვირა, 2 თებერვალი**

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასასმარებლად — ლექცია მხაზველობით გეომეტრიაში, 10.30 — ბავშვებისათვის „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — მუსიკალური კინოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — გადაცემა „ვარჯიშობენ პატარები“, 12.30 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ჩემთან მუხტარ“, 13.50 — სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე 1935 წელი (ქართულ ენაზე), 14.50— კინონარკვევი, 15.00 — კონცერტი, 15.20 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.10 — საესტრადო გასართობი პროგრამა, 16.55 — ქართული მხატვრული ფილმი „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“, 18.30 — ცენტრალური ტელევიზიის ფირადი პროგრამა: 1. „კინომოგზაურთა კლუბი“. 2. „როგორ გავიგოთ ფერწერა“ (გადაცემა მეორე), 3. „ბაზი“, 23.45 — „ნაბეჭდი“ — ბიბლიოთეკა, 23.55 — მსოფლიო ჩემპიონატი ციგურებით ჩქაროსნულ სირბილში (გადაცემა გრენობლიდან).

● **კვირა, 2 თებერვალი**

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასასმარებლად — ლექცია მხაზველობით გეომეტრიაში, 10.30 —ბავშვებისათვის „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — მუსიკალური კინოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — გადაცემა „ვარჯიშობენ პატარები“, 12.30 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ჩემთან მუხტარ“, 13.50 — სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე 1935 წელი (ქართულ ენაზე), 14.50— კინონარკვევი, 15.00 — კონცერტი, 15.20 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.10 — საესტრადო გასართობი პროგრამა, 16.55 — ქართული მხატვრული ფილმი „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“, 18.30 — ცენტრალური ტელევიზიის ფირადი პროგრამა: 1. „კინომოგზაურთა კლუბი“. 2. „როგორ გავიგოთ ფერწერა“ (გადაცემა მეორე), 3. „ბაზი“, 23.35 — პროგრამა მეორე დღისათვის, 23.45 — კინონარკვევი, 23.55 — მსოფლიო ჩემპიონატი ციგურებით ჩქაროსნულ სირბილში (გადაცემა გრენობლიდან).

ლაკკარაკობს და უჩვენებს თბილისი

● **ორშაბათი, 3 თებერვალი**

11.05 — სკოლამდელთათვის — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.15 — ბავშვებისათვის — „მხიარული კაცუნები“, თოჯინების სპექტაკლი (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ცენტრალური ტელევიზიის ფირადი პროგრამა, 13.00 — ლიტერატურული თეატრი. „მოთხრობები ლენინზე“ (31 იანვრის გადაცემის გამეორება), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ბავშვებისათვის — „ჩვენ ვსწავლობთ ინგლისურს“, 18.25 — საქართველოს ტელევიზიის ფირადი პროგრამა. ბავშვებისათვის: 1. „ზღაპრების სკივრი“, 2. სატელევიზიო ფილმი „თოჯინების სამყაროში“, 18.55 — განცხადებები, 19.00 — სპორტული პროგრამა. „ბურთი თბილისის პირველობაზე (რეპორტაჟი სპორტის სასახლიდან), 20.00 — კინონარკვევი 20.20 — „კანონი და კანონიერება“, 20.50 — კინონარკვევი, 21.00 კონცერტი, 21.40 — მხატვრული ფილმი „ბენზინის ფარდულის დედოფალი“, 22.55 — „მოამბე“ საინფორმაციო პროგრამა.

● **სამშაბათი, 4 თებერვალი**

11.05 — სკოლამდელთათვის — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.15 — ს. ბალაბანოვი „ბურთი“. 11.30 — „ბურთი“ (ბალეტი). 12.00 — „ბურთი“ (ბალეტი). 12.30 — „ბურთი“ (ბალეტი). 13.00 — „ბურთი“ (ბალეტი). 13.30 — „ბურთი“ (ბალეტი). 14.00 — „ბურთი“ (ბალეტი). 14.30 — „ბურთი“ (ბალეტი). 15.00 — „ბურთი“ (ბალეტი). 15.30 — „ბურთი“ (ბალეტი). 16.00 — „ბურთი“ (ბალეტი). 16.30 — „ბურთი“ (ბალეტი). 17.00 — „ბურთი“ (ბალეტი). 17.30 — „ბურთი“ (ბალეტი). 18.00 — „ბურთი“ (ბალეტი). 18.30 — „ბურთი“ (ბალეტი). 19.00 — „ბურთი“ (ბალეტი). 19.30 — „ბურთი“ (ბალეტი). 20.00 — „ბურთი“ (ბალეტი). 20.30 — „ბურთი“ (ბალეტი). 21.00 — „ბურთი“ (ბალეტი). 21.30 — „ბურთი“ (ბალეტი). 22.00 — „ბურთი“ (ბალეტი). 22.30 — „ბურთი“ (ბალეტი). 23.00 — „ბურთი“ (ბალეტი). 23.30 — „ბურთი“ (ბალეტი). 24.00 — „ბურთი“ (ბალეტი).

ოპერა

1 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — სევილიელი დალაქი, **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — დენბურგის ზარი (მე-17 აბონ.), **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — ჭინჭრაქა, **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ყარამან ყანთელაძე, **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ნინო, **მოზარდ მაყურებელთა ქარხული** — წითელქუდა (№ 33 აბონ. დილის 10 ს. და 30 წ., № 18 აბონ. დღის 5 ს.), **თოჯინების ქართული** — ცანგალა დღის 11 ს. და 1 ს.).

კინო

1 თებერვალი

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი) **ოქროს ტყვია,** ამორანი, საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი, სპარტაკი, გაზაფხული, ბათუმი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი — **ბერძენი ზორბა,** ოქტომბერი — **საპაერო თავგადასავლები** (პირველი და მეორე სერია), საქართველო — **მწვანე** დარბაზი (ქართული ვარიანტი), კოლხიდა, ბათუმი, კოლმეურნე (რუსული ვარიანტი), ნაკადული (ქართული ვარიანტი) — **სანგამი** (პირველი და მეორე სერია), კოლხიდა, ოფიცერთა სახლი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), კომკავშირელი — **შემოსევა,** 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — **ჯადოსნური ხალათი,** 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — **დავა „ოქროს ქალდმერთისთვის“,** კომკავშირელი — **სიყვარულის დღეები,** ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — **ვიცოცხლებთ ორშაბათამდე,** თანამგზავრი, ნაკადული — **კაპიტან ენრიკოს საათი,** თანამგზავრი (2,3, 6, 9 ს.) — **სამი მუშკეტერი** (პირველი და მეორე სერია), ეკრანი — **ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან,** ძერჟინსკის სახელობის კლუბი — **სიყვარულის სამი დღე,** ოფიცერთა სახლი — **იღბლიანობის ზიგზაგი,** სპორტი — **ერთგული ხელი** — **ინდიელთა მეგობარი.**



მამაცობის სკოლა

თბილისში გაიხსნა დოსაფისა და საქართველოს პროფსაბჭოს რესპუბლიკაში პირველი სპეციალიზებული სამამაცო-ახალგაზრდული სპორტულ-ტექნიკური ავტო-მოტოსპორტული სკოლა.

სკოლაში გამოცდილი პედაგოგები მუშაობენ. მათს განკარგულებაშია ფართო ნათელი კლასები თეორიული მეცადინეობისათვის, თვალსაჩინო ხელსაწყოები, ორმოცზე მეტი ახალი მოტოციკლი, რამდენიმე კარტინგი, მრავალი სხვა ტექნიკა.

თბილისის სკოლის მოსწავლეები გატაცებით სწავლობენ აქ მოტოციკლის მოწყობილობას, მუშაობას და ტექნიკურ მომსახურებას, გადიან ზოგადფიზიკურ მომზადებას და მართვის პრაქტიკას, ეცნობიან სპორტული ტექნიკისა და ტაქტიკის საფუძვლებს.

ამჟამად სპორტულ-ტექნიკურ სკოლაში სამასამდე მოსწავლეა. მისი შემადგენლობა ყოველდღიურად ივსება ავტომოტოსპორტის ნორჩი მოყვარულებით.

• • •

სურათზე: ნორჩ მოტომრბოლთა მეცადინეობას ხელმძღვანელობს ინსტრუქტორი-მეთოდისტი, სსრ ავტორის სპორტის ოსტატი, რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი მოტოციკლეტში ა. ვავიანი.

ფოტო ბ. ბიბაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ქომუნისტი | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, ბ/მგა. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УФ-07343

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.